

26

1864

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1864.

Н О Я Б Р Ъ.



საქართველოს

სახულო ერო-მასობებელი.

სამეცნიერო.

სედედ წ.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФИИ А. ЭНЦИДЖИАНЦА и К-о.

ПОДПИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается.

Журналъ издается съ іюля 1864 года, по утвержденной Святѣйшимъ Синодомъ программѣ.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. яз.—1 р. с.

სეჲლის-მღწეობა ყუჩნალსედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედუკტორის სახელსედ. ფასი წლის ყუჩნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუჩსენებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან., მარტო რუსულისათჳს ერთი მანეთი.

პასუხი რედუქციისაგან.

თქვას, მღ. დიმ. მ—ქ—ნ—ვს.


თქუნი რუსული «შესხმა» . . . აჩის შედგენილი დაუფიქრებელად და რუსულის ენის წინააღმდეგად, და ამისთჳს აჩ დაიბეჭდება; ხოლო თქუნი ქართულის სტატუებისაგან დაიბეჭდება ცოტა რამე . . .

რედ.



ლითებრ: «რადსა-თჳს აღავსო გული შენი
 ცრუებად ს უ ლ ი ს ა წ ლ ი ს ა; არა
 კაცთა, არამედ ღ მ ე რ თ ს ა »—უთხრა ჰეტრე მოცი-
 ქულმან ანანიას (საქმე მოციქ. თ. 5, მ, 3-4). «ნ უ გ ე-
 შ ი ნ ი ს - მ ც ე მ ე ლ ი ი გ ი ს უ ლ ი წ მ ი რ ა, რ ო მ ე ლ ი
 მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან, - მან გასწაოს
 თქუწნ ეოველი »—უბრძანა უფალმან იესო ქრისტემან
 თავის მოციქულებს (იოან, თ. 14, მ. 26).

2. სულსა წმიდასა მიეწერება ეოველივე თვისება
 ღუთაებისა. მაგალითებრ, ე ო ვ ლ ა დ - მ ე ც ნ ი ე -
 ბ ა : «ს უ ლ ი ეოველსავე გამოემიებს და სი-
 მკაცრსა ღუთისასა; ღუთისა, არავან იცის, გარნა
 სულმანვე ღუთისამან» (1 კორინთ. თ. 2, მ. 10-11).
 ნ ე ბ ა : «ჯერ უჩნდა (ესე იგი—ენება) ს უ ლ ს ა წ მ ი -
 რასა და ჩუწნცა, რათა არა რად უმეტესი ტვირთი
 დაუჭნდეთ თქუწნ ზედა » (საქმე მოციქ. თ. 15, მ. 28);
 ერთი და იგივე ს უ ლ ი განუყოფს ნიჭთა თჳთოე-
 ულად კაცად კაცადსა ვითარცა ნ ე ბ ა ვ ს » (1 კო-
 რინთ. თ. 12, მ. 11). მ ა ლ ი და მ ო ქ მ ე დ ე ბ ა :



«რომელსაჲ ს უ ლ ი ს ა მისგან მოცემულ-არს სიტ-
უჲა სიბრძნისა; ხოლო სხუასა სიტუჲა მეცნიერებისა
მითვე ს უ ლ ი თ ა; — და სხუასა სარწმუნოებაჲ მისვე
ს უ ლ ი ს ა გ ა ნ; რომელსაჲ მადლი კურნებათა მის-
განვე ს უ ლ ი ს ა » (1 კორინთ. თ. 12, მ. 7—9)
ეო ვ ლ ა დ - შ ე მ მ ლ ე ბ ე ლ ო ბ ა: თუთ იესო
ქრისტემ ბრძანა, რომ იგი ს უ ლ ი თ ა წ მ ი დ ი თ ა
განასხამს (ესე იგი—განდევნის) ეშმაკთა და იქმს სა-
სწაულთა (მათ. თ. 12, მ. 28).—სულსა წმიდასა მიეწე-
რება ეგრეთვე შექმნა სოფლისა, მოტევება კაცთადმი
ცოდვისა განბანა და განწმედა მათი ბილწებათაგან ნა-
თლის-ღებასა შინა, დანერგვა გულთა შინა მათთა ღუთი-
სა მადლისა, შიშისა და კეთილ-მსახურებისა, და სხუა-
ნი (ინილუ ფსალმ. 32, მ. 6; 1 კორინთ. თ. 3, მ. 16;
2 კორინთ. თ. 6, მ. 16; იოზისი თ. 33, მ. 4; იოან. თ.
20, მ. 22. 23, და თავი 3, მ. 5; 1 კორინთ. თ. 6, მ. 11).
ამისთვის სულსა წმიდასა შუენის ზატოვი და თაუჲანის-
ცემა თანასწორ მამისა და მისა (მათ. თ. 28, მ. 19),—ად-
გმოება ანუ დამდაბლება მისი არის ცოდვა საშინელი

რომელიცა არა მოეტევა კაცთა არცა ამა სოფელსა და არცა მოძავალსა შინა (მათ. თ. 12, მ. 31—32).

ამათ უოველთათჳს მართლ-მაღიდელებმა ეკკლესიამ უარყო სწავლა მაკედონისა, რომელიცა გმობდა და ამცირებდა ღმრთაებასა სულისა წმიდისასა, და მეორე მსოფლიო კრებაში, დაამტკიცა და განაწესა აღსარება მისი ესრეთ: «და სული წმიდა, უფალი და ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისათანა და მისათანა თაჳჴანის იცემების და იდიდების, რომელი იტეოდა წინასწარმეტყუჴლთა მიერ». — ამისგან სჩანს, რომ სული წმიდა ნამდვილად არის ჰირი ღმრთაებასა და ჴემმარტი ღმერთი, ვითარცა ჴემმარტი არის ძამა ღმერთი და ძე მისი—იესო ქრისტე.

ერთ-არსებისა-თჳს ჰირთა წმიდისა სამებისათა.

§ 30. ძამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა ღმერთი განირჩევიან ერთმან-ერთისაგან ჰირებითა ანუ გჴამოვნებითა, ვარნა ბუნებით არიან ერთი, თანა-არსი და თანა-სწორი ერთმან-ერთისა, როგორც ვახსე-

ნეთ და განვიმარტეთ ზემო-აღნიშნულს ჰარაგრაფებში (§ 5 და 6). ამისთვის დიერთი არის ერთი, და არა სამი; ესე ცხადად დამტკიცდა კიდევ ზემო-ხსენებულს ჰარაგრაფში (§ 9). მოწმუნეთა-თვის ფრიად საკმაო არის ესე, ხოლო უწმუნოთა-თვის ყოველივე განვიმარტება და ღუთის-მეტყველება დაშთება უსარგებლოდ და უნაყოფოდ. — ჩუწნ უნდა დაგჭსძინოთ ამას შემდგომი შენიშვნა.

§ 31. უნდა გვწამდეს მტკიცედ, რომ ჰირნი წმიდისა სამებისანი არიან თ ა ნ ა მ ო ს ა ე დ რ ე ნ ი (*) ურთიერთისა და სრულიად თანამკვიდრნი, რომლისა-მებრ იგინი არა არიან ერთმან-ერთისა გარეშე, როგორც ნაწილნი და სახენი ღუთაებისა, შემადგენელნი თვისითა შეერთებითა მთელისა ღუთისა, არამედ ერთი მეორესა და მესამესა შინა ჰკიეს სრულიად, განუყოფელად და ამასთანავე შეურევნელად.

2. ამის-თვის თვისებანი ღუთისანი არიან ერთნი, ესე იგი: ერთი გონება, ერთი ნება და ერთი მოქმე-

(*) რუსული სიტყვა: *соприсносущный* ქართულად უთარგმნათ თანამოსაყდრე.

ღება, და სხუანი; ეგრეთვე ღირსება, ჰატვი და თაუ-
 ვანის-ცემა სამთავე ჰირთა ღუთაებისათა არიან ერთ-
 ნი, რომლისა გამო არა არს მათ შინა არცა ჰირვე-
 ლი, არცა უკანასკნელი, არცა დიდი, არცა მცირე,
 არცა უფროსი, არცა უმცროსი;—და თაუჲანის-მცემე-
 ლი ერთისა ჰირისა თაუჲანის-სცემს იმავე დროსა
 მეორესაცა და მესამესაცა ჰირსა სამებისასა: მამასა
 მით, მესა მამით, ხოლო სულსა წმიდასა მამით და
 მითთურთ.—

3. ამისთვის რიცხვი ღუთაებისა შესახებელად არ-
 სებისა გინა ბუნებისა არის და იხსენება უოველთვს
 ერთი და არა სამი, ვინაჲდგან უოველთა ჰირთა
 წმიდისა სამებისათა ეკუთვნის ერთი და იგივე სახე-
 ლი ღმერთი; ამის მიზეზით ჩუჲს ვამბობთ
 ლოცვაში ღუთისა-თვის ესრეთ: «შენ და დიდებასა
 აღვაუღენტ, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა...;
 «თაუჲანის-გცემთ შენ, წმიდაო სამებაო, მამაო, მეო
 და სულო წმიდაო!»—და არა შეგვიძლიან არაოდეს
 ვსთქუათ: თქუჲს და დიდებასა აღვაუღენტ, მამისა,

და ძისა, და წმიდისა სულისა; ანუ: თაყუანის-გცემთ
თქუწნ, წმიდაო სამებაო! . . და სსუანი.

უროიურთისა შორის შეხებისა ანუ კავშირისათჳს მამისა, ძისა და
წმიდისა სულისა.

მ ა მ ი ს ა - თ ჳ ს .

§ 32. ვინაძღვან მამისაგან იშობის ძე და გამო-
ვალს სული წმიდა, და ამ სახით ძე და სული წმი-
და შეეხებიან მამასა, ვითარცა მიხეწსა მათისა მეო-
ფობისასა, — ამისთჳს მამა იწოდება უოველთჳს ჰირ-
ველ ჰირად წმიდისა სამებისა და მშობელად. და ეს-
რეთ მ შ ო ბ ე ლ ო ბ ა და მ ა მ ო ბ ა არის განსა-
კუთრებითი და განწიევითი თვისება მამისა.

მ ი ს ა - თ ჳ ს .

§ 33. ვინაძღვან მამისაგან იშობის ძე, ამის-თჳს
მამა შეეხება მას, ვითარცა მშობელი შობილსა ანუ
მამა შვილსა, — და ძე იწოდება შესახებელად მამისა
მეორე ჰირად წმიდისა სამებისა და შვილად. — გარნა

შობა მისა მამისაგან არის საუკუნო, შინაგანი, სრულ-
ლი, განსაკუთრებით და მიუწოდებელი.—ს ა უ კ უ ნ ო
მისთვის, რომ მე იყო და არის მამისათანა მარადის
განუშორებელად საუკუნითგანვე, და არა ესრეთ, რო-
გორც იქმნება შობა და მამა-შვილობა კაცობრივი, ესე
იგი — ჰირველად იქმნება მამა და მერე შვილი, და
ამისთვის მამა არის ყოველ-თვის უფროსი და უხნე-
სი შვილისა, და შვილი უჭაბუკესი (უმაწვილესი) მა-
მისა. ღუთისა-თვის ესე არა ითქმის; არამედ როდეს-
საც იყო მამა—მაშინვე იყო მე,—და არავინ არის მათ
შორის არცა უხნესი, არცა უჭაბუკესი, არცა უდიდესი,
არცა უმცირესი, არცა უჰირველესი და არცა უუკა-
ნასკნელესი ჟამითა და დროებითა. ამისთვის იწოდება
მე შობილად მამისაგან დღეს და ჰირველ
მთიებისა (ფსალმ. 2, მ. 7, და 109, მ. 3), და-
საბამითგან დღეთა საუკუნეთა და
ჰირველითგან ღუთისა თანა მეოფად (მიქ. თ.
5, მ. 2; იოან. თ. 1, მ. 1). შინაგანი, ესე იგი მე
მარადის იმყოფებოდა და იმყოფების წიაღთა შინა

მამისათა, ანუ სხუებრ—მამა არს მისათანა და მე მამი-
სათანა (იოან. თ. 1, მ. 18; და თ. 10, მ. 38). ს რ უ ლ ი,
ესე იგი—ქემან მიიღო მამისაგან ყოველივე სრულება
ღუთაებისა ერთად, და არა ცოტ-ცოტად ანუ ნაწილ-
ნაწილ, და არცა მსგავსად მისა, როგორც არის კაცის
შვილის აღზრდა და სრულ კაცად შექმნა; ამისთვის ქესა
ღუთისასა ერთად და უნაკლოოდ აქუს ყოველივე რაღცა
აქუს მამასა (იოან. თ. 17, მ. 10), და არის იგი სრულ-
ლი და ყოვლითურთ ვრცელი ბრწყინვალება დიდები-
სა და ხატი არსებისა მისისა—მამისა (ებრ. თ. 1, მ. 3).
გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი, ესე იგი—შვილ ღუთისად
იწოდებიან წმიდანიცა ანგელოზნი და კაცნი, მაგრამ
არაჲნი არის მათგანი მსგავსი მისა ღუთისა არცა
შობითა და არცა სხუითა რომლითაჲმე ღუთაებრივითა
თვსებითა; არამედ შვილ ღუთისად ყოფა მიანიჭა მათ
მხოლოდ მაღლმან ღუთისამან და ბუნებით არაჲნი
არის მათგანი ნაშობი ღუთისა არსებისაგან; ამისთვის
მე ღუთისა იწოდება მ ხ ო ლ ო დ - შ ო ბ ი ლ ა დ,
სავსედ მაღლითა და ჭეშმარიტებითა (იოან თ. 1, მ. 15).

და დასასრულ მიუწოდო, ესე იგი—ვერს-
ოდეს ვერ მისწვდება კაცის გონება მას, თუ ვითარ
და ოდეს იშვა მე მამისაგან და ამასთანავე მარადის
იყო და არს იგი განუშორებელი მამისაგან და წიაღ-
თა შინა მისთა, — ვინაძღვან ჩუწნი გონება ეოველ-
თვს წარმოიდგენს მშობელსა ანუ მამასა უხნესად
და უზირველესად შობილისა გინა შვილისა, ხოლო
შვილსა უუმაწვილესად მშობელისა გინა მამისა; ამის-
თვს იტყვის ისაია წინასწარმეტყველი მისა-თვს: «ა-
თესაჲ მისი ვინმე მიუთხრას», — ესე იგი შობა მი-
სა ღმერთისა მამისა თვისისაგან არავისთვს არის ს-
ცნობი და მისაწდომი. ამათ ეოველთა-თვს შობი-
ლებსა და შვილობსა არის განსაკუთრებითი და
განჩევითი თვისება მისა ღმერთისა.

სულისა წმიდისა-თვს.

§ 34. ვინაძღვან მამისაგან გამოვალს სული წმიდა
და მესა ზედა განისვენებს, ამისთვს იწოდება იგი მე-
სამე ზირად წმიდისა სამებისა და გამომავან-

ლად მხოლოდ მაძისაგან. ეს არის განსაკუთრებით და განრჩევითი თვისება სულისა წმიდისა, და არა მიეწერება მას არავითარნივე სახით შობა მაძისაგან, არამედ მხოლოდ გამოძავლობა. ამისგან სჩანს, რომ შობა ძისა მაძისაგან და გამოძავლობა სულისა წმიდისა განრჩევიან ერთმანეთისაგან; მაგრამ რა განრჩევა არის მათ შორის ანუ რასა ნიშნავს განსვენება სულისა წმიდისა ძესა ზედა—ამას ვერ ძისწვდება გონება ჩუქნი; მხოლოდ ვიცით, რომ როგორც შობა ძისა მაძისაგან, ეგრეთვე გამოსვლა ძისგან სულისა წმიდისა არის საუკუნო, შინაგანი, სრული და მიუწდომელი.

§ 35. ხოლო განსაკუთრებით შესახებელად სულისა წმიდისა ძისადმი უნდა ვსთქვათ შემდგომი.

1) სული წმიდა არის საუკუნოდ გამოძავალი მხოლოდ მაძისაგან და არა ძისაგან, როგორც ცხადად და ნათლად გვასწავს ჩუქნი თუთ იესო ქრისტემან და როგორც აღიარებს მართლ-მადრიდებელი ეკკლესია ჩუქნი (იხილეთ იოანეს თავი 15, მ. 26),—და

2) მესა ზედა განისვენებს, რომლისა-თჳს სთქჳს ისაია წინასწარმეტყველმან: «და განისვენოს მას ზედა სულმან ღმთისამან» (ისაიას თ. 11, მ. 2); და თჳთ მემანცა ღმთისამან სთქჳს თავისა თჳსისა-თჳს: «სული უფლისა ჩემ ზედა, რომლისა-თჳს მცხო მე» (ლუკ. თ. 4, მ. 18). ამისთჳს სული წმიდა იწოდება ზოგ-ჯერ სულად მისა, რომემანცა მიანიჭა იგი თავის მოციქულებს, და მოუვლინა სოფელსა მამისაგან, ესე იგი—ეოველსა მოწმუნესა სოფელსა შინა მეოფსა. მაგალითებრ: ჰავლე მოციქული იტევის: «გამოავლინა ღმერთმან სული მისა თვისისა გულთა შინა ჩუწნთა, რომლითა ვლადდებთ: აბბა მამაო» (გალატ. თ. 4, მ. 6); და თჳთ უფალმან იესო ქრისტემან, შემდგომად აღდგომისა მისისა შეჰბერა მოციქულებს და ჰრქჳს: «მრიდეთ სული წმიდა».—და უწინარეს ზეცად ამაღლებისა, უბრმანა მათ: «უკეთუ მე არა წარვიდე, ნუგემინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუწნდა; უკეთუ მე წარვიდე, მოვაუვლინო იგი თქუწნდა» (იოან. თ. 20, მ. 21—22;

და თავი 16, მ. 7).—და ესრეთ

3) სული წმიდა გამოვალს საუკუნოდ მამისაგან და დროებითად მოეკლინა სოფელსა ანუ მოწმუნესა კაცთა ნათესავსა; ამისთვის არის ნათქვამი ზოგჯერ საეკლესიო წიგნებში და წმიდათა მამათა წერილებშიცა, რომელ სული წმიდა გამოვალს მამისაგან მისამიერ. ესე აღნიშნავს მას, რომ სული წმიდა მხოლოდ მისამიერ მოეკლინება სოფელსა, ესე იგი—მისა თხოვნითა და შუამდგომელობითა წინაშე მამისა; და არაოდეს არა აღნიშნავს მას, ვითომცა იგი გამოვალს მამისაგან და მისაგან მსგავსად ლათინთა ეკლესიისა სწავლისა.—

4.) შესახებელად ესრეთისა სწავლისა ლათინთა ანუ თრანკთა ეკლესიისა უნდა ვახსენოთ, რომ ამან მოახდინა საშინელი შუოთი და განხეთქილება საბერძნეთის და რომის ქრისტიანებთა შორის, და სრულიად განჰყო და განაგდო ერთმან-ერთისაგან ორნი დიდნი ეკლესიები—აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. განხეთქილება ესე მოქმედებს ვიდრე აქამოდე, — და

ღმერთმან უწყის — ოდეს იქმნება აღსასრული მისი. უმეტესი მეტეუჭლებს ამ საგანსკად და განმარტება მისი, ჩუჭნის ფიქრით, დაძთება ისე უქმად და უნაყოფოდ, ვითარცა ვხედავთ უსარგებლოდ და უმოქმედოდ მრავალ-ქაძიერთა ღვაწლთა და შრომათა დიდად განათლებულთა ზირთა და ღუთის-მეტეუკლთა, მეფეთა და მთავართა, მწიქმსთა და მოძღვართა რომისა და საბერძნეთისათა. ინებოს მხოლოდ ღმერთმან ურთიერთისათანა მსწრაფლ შეერთება, დამშვიდება და დაწინარება განმორებულთა და განთვისებულთა ცხოვართა სამწესოდასა თვისისათა, რომელნი იუვნენ ოდესმე ძმანი ერთგულნი და ერთ-სულნი, და ოდეს ვხედავთ მტერად სასტიკად და დაუცხრომელად, — და გამოაჩინოს ჭეშმარიტება სულისა მიერ წმიდისა, რომელიცა არს თვთ სიბრძნე და ჭეშმარიტება! — ესრეთის კეთილ-მსურველობით და განსრახვით დაუტევებთ ჩუჭნ მსჯელობასა ამ აღნიშნულს საგანსკად, — მისთვის რომ ჩუჭნ კვსურს ეოველთათანა მშვიდობა, და არა მტერობა, არცა აღძრვა და განღვიძება შფოთისა, სიძულელიისა და უკმაყოფილებისა.

შექმედებათა-თჳს ღუთისა — შექმნისა და განგებულებისა, ანუ ქმნილების ფარვისა და დაცვისა-თჳს.

§ 35. ღმერთი ჩუწნი—წმიდა სამება არის შემოქმედი ცისა და ქუწყანისა, ხილულისა და უხილავისა, ანგელოზთა და კაცთა, ჰირუტუტთა და ქვეწარმავალთა, და სხუათა ყოველთა, რადცა მხოლოდ არის ანუ ყოფილა სადმე,—და თჳნიერ მისა არცა ერთი რა ქმნილ-არს არცა ცასა და არცა ქუწყანასა ზედა, გინა მიწასა და ქვესკნელსა ქვეშე. (იოან. თ. 1, მ. 3). მან განაბრწუინვა ცაჲ მშვენიერებითა და განაწესა იგი სამკვიდრებელად წმიდათა ანგელოზთა, და ქუწყანაცა ეგრეთვე შეამკოდა ალავსო ყოვლითა კეთილითა, და მოსცა საცხოვრებელად კაცთა ნათესავსა;—და ყოველსა ამას იცავს და განაგებს იგი ყოვლად-შემძლებელითა ბრძანებითა, სახიერებითა და მნებელობითა თჳსითა ვიდრე აქამომდე. ამის-თჳს ამ დოღმატიკის განყოფილებაში უნდა განვიხილოთ: 1) შექმნა ქუწყნისა ანუ სოფლისა, 2) დაცუა

ანუ მართვა მისი, 3) შექმნა ანგელოზთა გუნდისა, და
4) შექმნა კაცთა ნათესავისა.

შექმნა ქუჭუნისა.

§36. შექმნა ქუჭუნისა ანუ სოფლისა აზრის დი-
დი და საკვირველი საქმე სიბრძნისა და უოვლად-შემ-
ძლებელობისა ღმერთისა, რომელსაცა მივსწვდებით და
ვსცნობთ მხოლოდ სარწმუნოებითა, ვითარცა იტყვის
მოციქული: «სარწმუნოებით ვცნობივს დაძეარება სა-
ჟგუნეთა სიტყვითა ღმერთისათა, არა სახინოსავან სი-
ლულად შექმნულად» (ებრ. თ. 11, მ. 3). მეძიებელნი
სოფლის შექმნის მიზეზისანი ამ სარწმუნოების გა-
რეშე უოველთჳს იუვნენ საშინელს ცთომადი და სიბ-
ნელეში, და არა-ვითარნი ნათელი ჭეშმარიტებისა არა
იყო მათ შორის. ზოგნი მათგანნი ამბობდნენ, მაგა-
ლითებრ, ესრეთ: ქუჭუნა შექმნა ანუ დაიბადა თა-
ვით თვისითო, — ისრე, მაშასადამე, როგორც ჩნდება
სოკო ანუ მცირე რომელიმე მოძრავი და ქვეწარმა-

ვალი შედგომად წვიმისა და ნოტიოსა. ზოგნი ამ-
ბობდნენ, რომ ნაწილნი ქუჭყანისანი იყვნენ ოდესმე
კანბნეულნი და უწესოდ მიურილ-მოურილნიო, და მერმე
მოხდა ისრეთი შემთხვევა და ძრვა, რომ ეს ნაწილები
ერთად შეიყარნენო, და ამისგამო მიიღო ქუჭყანამან ის
სახე, რომელიც ახლა აქუსო. ხოლო სხუანი იტყო-
დნენ უფრო სხუა-და-სხუად უწესოდ და უკანონოდ.—
ჩუჭნთვს ეოველი ესე არის ზღაპარი და ბასრობა,
ვინაჲდგან ჭეშმარიტად ვიცით საღმრთო წერილისა-
ვან, თუ ვინ, ოდეს, ვითარ და რაჲსაგან შექმნა სო-
ფელი, და მსგავსნი ამისნი. ამისთვს ამ ზუნკტში ჩუჭნ
უნდა განვმარტოთ შედგომნი წინადადებანი სოფლის
შექმნისა-თვს.

§ 37. ვინ შექმნა სოფელი? სოფელი
შექმნა სახიერებითა თვისითა ერთმან მხოლოდ ღმერ-
თმან, წმიდა სამებად ცნობილმან. მამა-სადამე სოფ-
ლის შექმნაში განუთვისებელად ეოფილან მონაწილე-
ნი სამნივე ზირნი წმიდისა სამებისანი. ესე სჩანს მის-
გან, რომ კაცის შექმნის დროს ჰქონდათ მათ რჩევა

გ ა რ დ ა მ ო ც ე მ ა .

ჭაძრაღ მიყვანებისათვის ყოვლად-წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედუფლისა ჩუქნისა ღუთის-მშობლისა, და ცხოვრებისა-თვის მისისა მასვე ჭაძარსა შინა, გამოკრებული წმიდათა მამათაგან სარწმუნოთა მწერალთა.

ოდესცა ყოვლად წმიდასა და უფროსად კურთხეულსა საღმრთოსა ყრმასა მარიაჲს შეუსრულდა სამი წელი, მართალთა მშობელთა მისთა, რომელიცა ილოცვიდეს რა გახსნისა-თვის უნაყოფოებისა-თვის მათისა მოქსენათ აღთქმა თვისი, რომელ შესწირონ მსხვერპლად ღმერთსა შობილი მათგან ყრმა, -მასინ განიზრახეს ნამდვილ აღსრულება მისი. რომლისა-თვისცა მოუწოდეს ნაზარეთს, სადაცა იგინი სცხოვრებდენ, ყოველთა ნათესავთა თვისთა სამეფო სამღუდელთ ტომისაგან. რამეთუ იოაკიმ იყო თესლისაგან მეფისა, ხოლო ცოლი მისი ანნა ტომისაგან მღუდელთ-მთავრისა, მოუწოდეს ეგრეთვე ყოველთა ქალწულთა მოუმზადეს მრავალნი ღამპარნი და შემოსეს ქალწული მარიაჲ დიდად მშვენიერებითა სამეფოთა, რომლისათვის დალაგებენ წმიდანი მამანი ეკკლესიისანი. წმიდა იაკობ, აწხიებისკობოსი იერუსალიმისა, ჰიწითა იოაკიმისათა დაღად-ჭყოფს: « შემოჭკრიბენით წმიდანი ასულნი ებრაელთანი და აღიღონ ღამპარნი მთებარენი »! ხოლო წმიდა გერმანე, პატრიარქი სამეფო ქალაქისა, ანას ნაცვლად უბნობს: « შესწირავ უფალსა აღთქმულსა ჩემსა, მწუხარებასა შინა ბაგეთა მიერ ჩემთა წარმოთქმულსა; ამისთვისცა შეკვრიბენ მე ქალწული ღამპრებითა, მღუდელნი და ნათესავნი და კეტუვი მათ: «ინარებდეთ ჩემთანა, აჴა ესერა წინაჲ თქუჩნსა გამოკსცხადლები დედად და

ასულის ჩემს მივიყვან და მივსცემ, ანა შეუქსა ქუჭყანისასა, ანამედ
დმერთსა ზედათა შეუთქსა ». ხოლო წმიდა თეოფილაკტე, ანხიებისკო-
პოსი ბულგარისა, ესრეთ სწერს მეტებრის შემკობისათჳს საღმრთოჲსა
ერმისა: ჟერ იყო, რათამცა მიყვანება საღმრთოჲსა ერმისა უოფილ-იყო
ღირსეულად, რამეთუ გლახაკური ძაძა ანა ეთვისების ესრეთსა ნათელსა
და მრავალ ფასისა მანიაკსა, ჟერ იყო შემოსა მისი სამეუფოჲთა სა-
მოსლითა, რათამცა განამზადეს იგი უმაღლესისა დიდებისა და მშვენე-
რებისადმი.

განაამზადეს ყოველივე დიდ-მშვენეირად, რაჲცა სახმარ-იყო დიდ-
ბულისა ტაძრად-მიყვანებისა-თჳს მისისა, წარვიდნენ ყოველნივე იერუსა-
ლიმად, რომელიცა შორავს სამი დღის ოდენ საუალ ნასარეთით. და მი-
რანიწივნეს იერუსალიმად, წარვიდნენ იგინი ეკკლესიად, რათამცა შეიყვან-
ნონ მას შინა განცხორებულე ეკკლესია ღუთისა ერმა სამისა წლისა ყო-
ვლად წმიდა ქალწული მარიაჲ. გუნდნი ქალწულთა წინაუძღოდენ მას აღ-
ნთებულთა ლამზრითა, რომლისა-თჳს წმიდა ტარსი ანხიებისკოპოსი
კონსტანტინეზოლისა დასდებს სიტყუათა ამით ბაკეთა წმიდისა ანხასათა:
«წარკედით ქალწულნო და ხვიდოდეთ ლამზრებითა წინაშე ჩემსა და წი-
ნაშე ერმისა საღმრთოჲსა ». სიმშვიდით და სიმდაბლით წმიდათა მშო-
ბელთა, მიიყვანეს ასული თჳსი, ღუთისა მიერ მათდა მონიჭებულე. მრავ-
ალნი მეზობელნი, ნათესავნი და მცნობნი ეთანამოგზაურებოდენ მათ
სინარულთა დიდითა, რომელთაცა ეზურათ ხელთა შინა ლამზარნი შე-
მოზღუდვიდნენ მათ, ვითარცა კარსკვლავნი მნათობსა მთოვარესა, რომ-
ელსა ზედა განჭკვირდებოდა ყოველი იერუსალიმი. წმიდა თეოფილაკტე
სრბასა ამას აღწერს ესრეთ: ასული დაივიწყებს სახლსა მამისა თვისისასა
და მოიყვანების მეუფისადმი, რომელმანცა შეიყვარა მშვენეირება მისი;
მოიყვანების მისდამი პატრიოთა და კეთილ-მშვენეირად გამოვალს იგი სახ-
ლისაგან მამისა და წინაუძღვიან მას დიდებითა ნათესავნი, მეზობელნი
და ყოველნი მეგობარნი მშობელთა მისთანი. მამანი მონაწილეობენ სი-
ხარულსა შინა მამისა მისისასა, დედანი თანაზიარ-ექმნებიან სინარულსა ში-

ნა დედისა მისისასა, ყრმანი და ქალწული სინარულით წინაუძღოდან ლამ-
პრებითა სდმრთოსა ყრმასა ყოვლად-წმიდისა, მსგავსად სიმრავლეთა
ვარსკვლავთასა ბრწყინვალეთა მთავარისათანა. შექცება სრულიად იერუსა-
ლიში, რათამცა იხილონ ესოდენ საკვირველი აღმატებული ჩვეულებისა
სრბლასა ახალი—სამის წლის ყრმისა, შემოსილისა ესე ვითარისა დიდუ-
ბითა, რომელსა მოგზაურ-ექმნეს პატრივითა ნათელ-მოსილითა. არა თუ
მხოლოდ მცხოვრებნი იერუსალიმისანი, არამედ ზეციური მოქალაქეობა-
ნი, წმიდანი ანგელოსნი მომდინარეობდენ, რათამცა იხილონ დიდებუ-
ლებითი სლვას ყოვლად წმიდის ქალწულის მარიაშისა, და რა იხილეს
იგი განსჯიოდნენ, ვითარცა ჭკალბს წმიდა ეკკლესია: « ანგელოსთა
რა იხილეს შესვლას ყოვლად-წმიდისა, დაუკვირდათ, ვითარ ქალწული
შეკვალს წმიდათა შინა წმიდათასა ». უხილავი გუნდი უკარცლათა გო-
ნებათანი ერთბაშად ხილულათა გუნდთა თანა წმიდათა ქალწულთასა ვი-
დოდან. ესრეთ ბრძანებისებრ უფლისა, მეოთვი შორის მათსა, ვითარ-
ცა აღჩეული ჭური ღუთისა, მარამ შეყვანილ-ექმნა განსაწმედელსა ში-
ნა. წმიდა არჩიებისკობისი გიორგი ნიკომიდიისა ამისთვის იტყვის ეს-
რეთ: « ოდესცა მშობელთა მიიყვანეს ქალწული ბჭეთა მიმართ ეკკლე-
სიისათა, მაშინ მათდა მიმართ მოჩაკიდეს ანგელოსნი გარეშემოხდულ-
ვიდეს მას. დაღაცათუ ანგელოსთა არცაღა უწყოდენ ძალი საიდუმლოდსა
განხორციელებისა, გარნა ვითარცა მსახური უფლისა ღუთისანი, ბრძანები-
სებრ მისისა მსახურებდენ მას ჟამსა ტაძრად-მიყვანებისა მისისასა და დაუ-
კვირდებოდათ მათ იგი. რომელ ვითარცა ჭური ჩხეული სათხლებათასა იყო
მოსილ სამარადისოდთა სიწმიდითა, და რა იხილეს ესე, რამეთუ გარდა
მისი იყო ესრეთ, რომელ არა ვითარსა უწმიდურებასა და ცოდვასა არა
ძალ-ემლო მისდამი მიახლებს, და ესრეთ აღასრულეს ნება უფლისა ბრძა-
ნებული მათდა მიმართ მსახურებას. აჭა ვითარითა პატრივითა და დიდები-
თა არა თუ ოდენ კაცნი, არამედ ანგელოსნიცა უბიწოსა ქალწულსა თა-
ნაუფილოდენ ჟამსა ეკკლესიად მიყვანებისა მისისასა. ვიდობანიცა ძველისა
აღთქმისა, რომელიცა იხურობდა რა თვის შორის მანანასა, მხოლოდ მოას-

წავებდა ყოვლად ჰატროსანს ქაღწულსა, შეტანილ-იყო კარავსა შინა სი-
ონისასა დიდითა ჰატროსითა წინაშე ყოვლისა ისრაილისა, მამა უმეტეს დი-
დებულად ჰერ-იყო წინაშე კრებულისა ანგელოსთა და კაცთასა შეუვანებს
ყოვლად კურთხეულისა ქაღწულისა, ამა სულიერისა კიდობნისა, რომელ-
საცა წინადვე განწესებულ-იყო დატევნად თვს შორის მანანასი-ქრისტესი:
ოდესცა კიდობანი ძველისა აღთქმისა შეიტანეს სამკვიდრებულსა შინა
უფლისასა, წინა უძღოდა მას მეფე ისრაილისა წინასწარმეტყუელად და-
ვით. ხოლო ამა უკუჩქ სულიერსა კიდობანსა ყოვლად წმიდისა ქაღწუ-
ლისასა, შეუვანებულსა ეკკლესიასა შინა ღმთისასა წინაუძღოდა, არა ქუჩ-
ენიური მეფე, არამედ მეფე ბეციური, რომლისადმიცა თვითოეულსა დღე-
სა ვილოცავთ: მეფეო ბეცათაო! ნუგეშინის-მცემელო! სულა ჭეშმარი-
ტებისაო! თვთ იგი წინა-უძღოდა ამა ასულსა მეფისასა, ვითარცა სწა-
მებს წმიდა ეკკლესია თვსსა საგალობელსა შინა, «წმიდათა შინა წმიდათა
წმიდა და შეუგინებელ სულისა მიერ წმიდისა შეიუვანების!» დროსა კიდობ-
ნის შეტანისასა იყო გალობა, ხმობა საკრავთა; დაუთმან უბრძანა მთა-
კართა ლეკიტელთასა დადგენა მგალობელთა, რათამცა გალობითა და ხმი-
თა მუსიკასა, სამვიკისა, საფსალმუნისა და ორღანოღსათა მოსცენ ხმა
ყამსა ყოვლად-წმიდის ქაღწულის ტაძრად მიუვანებისასა, არა ქუჩენი-
ურთა მუსიკასათა მოეტყმოდის ხმა სიხარულისა, არამედ თვთ ანგელოს-
ნი მსახურებდენ რა უხილავად შეუვანებსა ქაღწულისასა, უგალობდენ მას.
იგინი ბეციურითა ხმითა ადიდებდენ ქაღწულსა შეუვანებულსა წმიდათა ში-
ნა წმიდათასა სამსახურებულად უფლისა, ვითარცა მოგვითხრობს ამისთვის
ეკკლესია: « აჭა ესერა გარდამოვალს მაღლი უფლისა სულსა შინა ღმთისა-
სა, ამას უგალობენ ანგელოსნი ღმთისანი, ესე არს სოფელი ბეციური .
გარნა არცა ისმოდინ ხმანი კაცობრივისა გალობისანი; მართალი ანა
(ვითარცა იტყვის წმიდა ტარასი თვსსა ქადაგებსა შინა) უხმობდა წინა
მსროლთა ქაღწულთა: « აქებდით მას ხმითა გალობისათა, უგალობდით
მას ბობღნითა, ადიდეთ ეგე გალობითა სულიერითა, ადიდებდეთ ფსალ-
მუნითა და ათქალითა საფსალმუნისათა » . . . ამას მოგვითხრობს ჩუქნ

ეკკლესიაცა ესრეთ! « იხარებენ იოაკიმ და ანნა სულთა და გუნდნი ქალწულთა უგალობდენ უფალსა ფსალმუნითა ღაღადებისათა და დედასა მისსა მისტემდნენ ჰატვისსა! » აჭა ესერა გარდამოკალს მადლი უფლისა სულსა შინა ღმთისასა, ამას უგალობენ ანგელოსნი ღმთისანი, ესე არს სოფელი ზეციური. სიტყუათა ამათ შინა სჩანს, რომელ ქალწულნი იგი რომელნიცა წინაუძღოდეს, რომელნიმე უგალობდენ ქალწულსა მარიაშ დაავითის ფსალმუნებსა. თანახმად ამისა ჭ მთხზველი კანონისა ტაძრად მიუყვანებისა ყამსა ესრეთ ეტყვისთ ქალწულთა: « იწყეთ ქალწულნი, რომელთა გიპყრესთ სანთელნი საგალობელნი თქუძნნი და უგალობდით. ხოლო მართალნი მშობელნი, იოაკიმ და ანნა, ჭგალობდენ გალობასა დავით წინასწარმეტყუძლისასა, ვითარცა სწერს წმიდა ტარასი: « ისმინე ასულა და იხილე და მოყავ ყური შენი და დაივიწყე კრი შენი და სახელი მამისა შენისა, და გუღმან უთქუას მეუფესა სიკეთისა შენისა. (ფსალმ. მდ. მუხელი ი.)

თეოფილაკტე მოგვითხრობს, რამეთუ მღჳდელნი, რომელნიცა მსახურებდენ საღმრთოსა ეკკლესიასა შინა გამოვიდნენ მუნით და მიეგებენ გალობითა ურმასა, დედად დიდისა მღჳდელთმთავრისა წინადვე განსაზღვრებულისა. მართალი ანნა (ვითარცა სწერს წმიდა ტარასი) ესრეთ ეტყოდას ასულსა თჳსსა ყამსა მისის ეკკლესიასა შინა შესვლისასა; ხვიდოდე, ასულა ჩემო, მისდა მიმართ, ვინცა შენ ჩემდა მოგაკვინა! ხვიდოდდე კიდობანო სიწმიდისაო! მჩაკალ მოწყალისა მეუფისადმი; ხვიდოდდე ბჭეო ცხაკრებისაო! მომნიჭებელისადმი სახიერებისა, ხვიდოდდე კიდობანო სიტყვიერო ტაძრსა შინა უფლისასა; შეკედ ეკკლესიასა უფლისასა, სიხარულა და მხიარულებაო სოფლისაო!» შემოდგომად ამისა იოაკიმ და ანნა მიიქცეს რა ზაქარისადმი წინასწარმეტყველისა, განმანათლებელისა და ნათესავისა თჳსისა, რქუას მას ანნა: « მიილე, ზაქარია აჩრდილი შეუგინებელი; მიილე, მღჳდელა, უბიწო კიდობანი; მიილე, წინასწარმეტყუძლო, საცეცხლური სავსე უნაუთოღთა ნაკვერცხალითა, მიილე, მართალა, გუნდრეკი სულერიო. ხოლო წმიდა გერმანე მოგვითხრობს,

წამეთუ ანა ესრეთ ეტყოდა მღუდელთ-მთავარსა: « მიიღე, წინასწარმეტყუელ, ასული ღუთისა მიერ ჩემდა მონიჭებული; მიიღე, შეიყვანე და დაადგინე იგი მთასა ზედა წმიდასა, — მისთვის განმზადებულსა, საღმრთოსა შინა სამკვიდრებულსა. ნუ ჭყობ განცდასა წასამე მისთვის, არამედ მოელოდე, წამეთუ ღმერთი, რომელმან მოუწოდა მას სათნო იყოს მისთანა აღსრულებასა ».

ნეტარი იერონიმე სწერს, რომელ ეკლესიის შესავალსა აქუნდა ათხუთმეტი აღსავალი, რიტხვისამებრ ოსაღმუნთა ყამსა ზედა საგალობელთასა, და რომელ მღუდელნი და ლეკიტელნი აღვიდოდნენ რა აღსასრულებელად საღმრთოჲსა მსახურებისა ჭგალობდეს თუთიულსა აღსავალსა ზედა თუთიულსა ოსაღმუნსა. მართალთა იოაკიმ და ანანამ, მოიყვანეს რა ასული თჳსი, დააყენეს პირველსა აღსავალსა ზედა; ხოლო იგი, განძლიერებული უხილავად ძალისამიერ ღუთისა, თვინიერ ყოველასა შეწყვნისა, მსწათვლ აღვიდა თუთ უმაღლესსა აღსავალსა ზედა და დასდგა მუნ. ესრეთ ღმერთმან გამოაცხადა ძალი თჳსი ყამსაცა ჭახუკობრივისა მისისა ჭსაკისასა და მით გვაჩვენა, ვითარ დიდ-იქმნა მადლი ღუთისა მას ზედა ყამსა მისისა სრულ-წლოვანებისასა. განსცვიფრდეს ყოველნი, იხილეს რა სამისა წლისა ყრმა ესრეთ მსწრათვლ აღმავალი, ვითარცა წლოვანი ვინმე შეუწყვნელად სხუათა აღსავალსა ზედა, და უმეტესად განმანათლებელი ზაქარია, თერად განჭკვირდა, და ვითარცა წინასწარმეტყუელმან სულითა წმიდითა აღვსებულმან, ღაღად ჭყო, (ვითარცა მოგვითხრობს წმიდა ტარასი): « ჰი ყრმან ჰატოოსანო! ჰი ქალწულო უბიწო! ქალწულო შეკნეო, ყოველთა დედათა შეკნიერებაო! ხატო და მაკალითო ქალწულთა სიკეთისაო! შენ გურთხეულო დედათა შორის, დიდებულო სიწმიდითა, დაბეჭდილო ქალწულებითა და მხსნელო ადამის წყევლისაო! » მანვე მოწმობისაებრ წმიდისა გერმანისა, ჭრქუა ანას: « გურთხეულ არს ნაყოფი შენი, დედაო ღირს ჰატოვისცემისაო უმეტეს ყოველთა! დიდებულ-არს საშო შენი და დიდებულ-არს ასული შენ მიერ მოყვანილი, სავარელი ღუთისა! » იგივე წმიდა გერმანე სწერს, წამეთუ ზაქარიას რა

მიჭყავდა ხელით ყრმა საკურთხეველსა შინა, იხარებდა სულითა და ეტყუადა მას: « ხვიდოდე აღსრულებამ, აღთქმათა უფლისათამ, ბეჭედო აღთქმისა მისისამ! ხვიდოდე გამოცხადებამ მზრახველობისა მისისამ, აღსრულებამ საიდუმლოთა მისთამ, სარკეო ყოველთა წინასწარმეტყუებლთამ, ხვიდოდე დაძველებულთა განახლებამ, ნათელი ბნელთა შინა მსხდომართამ, ხვიდოდე ახლო და საღმრთლო ნიჭო! შეკედ სიხარულით ეკვლესიასა შინა უფლისა შენისას; აწ ქრისტესანად კაცთა მიერ ცნობილო, ხოლო შემდგომად ზეცათა შინა ქრისტესნიურთა-თჳს მიუწითომელო!» — ყოვლად-წმიდა იხარებდა და იშეებდა, ვითარცა განბრწყინებულსა პალატისა წასამე შინა, ვიდოდა რა სახლსა შინა უფლისასა, იყო რა სამი ოდენ წლისა, იგი აღივსო მადლითა ღმრთისათა, ვითარცა წინარე ხილული და წინად აღჩეული უწინარეს შექმნადმდე ღმრთისა მიერ სოფლისა.

ესრეთ ყოვლად-წმიდა და უფროსად კურთხეული ქალწული მარიაშ, შეუვანილ-იქმნა ეკვლესიასა შინა უფლისასა. მღუდელთ-მთავარმან ზაქარიაშ ჰქმნა ყოველთა-თჳს განსაკვირველი საქმე. მან შეიყვანა ყრმა თჳთ შინაგანსა კარავსა საწამებელისასა, რომელსაცა ეწოდებოდა წმიდა წმიდათა, რომელიცა იყო უგანი მეორისა კრეტსაბმელისა, სადაცა იღვა კიდობანი აღთქმისა გარეშე მოჭედელი ოქროთა და ქერაბინნი დიდებისანი (ჭოვარვიდენ) აგრილებდენ საკურთხეველსა. მუნ შესულა არათუ დედათა სქესთა, არამედ მღუდელთაცა არა ძალ-უღვათ, მხოლოდ მღუდელთ-მთავარსა ჰქონდა ნება მუნ შესვლისა, და ამასცა წელიწადში ერთგზის. მუნ ყოვლად წმიდა ქალწულსა, მღუდელთ-მთავარმან ზაქარიამ დაუნიშნა ადგილი სალოცავად, ხოლო სხუათა ქალწულთა, რომელნიცა მოიყვანებოდნენ ყამსა სიერმისა მათისასა მსახურებად ღმრთისა, მიეტყმოდათ ადგილი ლოცვისა, (ვითარცა იტყვის კირილე ალექსანდრიისა და გრიგორი ნოსელი) საშუალ ეკვლესიისა და საკურთხეველისა, სადაცა უგანასკნელ მოიკლას ზაქარია. იყო ფიცხელად აღკრძალულ მღუდელთ-მთავართაგან და ამისთჳს ვერცაუინ ქალწულთაგანი იკადრებდა განსაწმედლისადმი მიახლებასა. გარნა ყოვლად-წმიდა ქალწულსა ყამითგან მისის ტამჩად მიყვანე-

ბისას აქუნდა ნება მარად ყამ და კიდოდცა სკურთხეველსა შინა უკანა
კრეტსაბმელისა და მუნ ილოცვიდა. ხოლო ესე ჭქმნა მღუდელთ-მთავარ-
მან იდუმალ უწყებისაებრ ღუთისა. რომელისა თჳს ესრეთ უბნობს წმიდა
თეოფილაკტი: « მღუდელთ-მთავარმან მას ყამსა შინა ღუთიკ-შემოსილმან
იყო რა გარეშე თჳსსა, გულის-ხმა-ჭყო, რამეთუ ყრმა ესე დაიტევს ღუ-
თაებრივისა მადლსა და ამისთჳს უმეტეს თჳთ მღუდელთ-მთავრისა მის
ღირს-იყო მარად ყამ წარდგომად წინაშე ჰაისა ღუთისასა. მოესუნა თქმუ-
ლი სჯულისა შინა კიდობნისათჳს, რომლისაცა ყოფა წმიდათა შინა წმი-
დათასა ბრძანებულ იყო და გულის-ხმა-ჭყო მან, რომელ ესე მოასწავებ-
და ყრმასა მას. და ესრეთ მცირედისაცა იჭკისა იკადნიერა წინააღ-
მდეგ წესებულებისა სჯულისათა შეუკანა მის ყრმისა წმიდათა შინა წმი-
დათასა. ესე ვითარითა სხითა ყრმამან მან დაიპყრა ადგილი, უხილავი
ყოველთა მამაკაცთა და თჳთ მღუდელთა თვისცა, რომელსაცა იხილვიდა
მხოლოდ მღუდელთ-მთავარი წელიწადში ერთგზის. ჟერ იყო, რათამცა
ვიდრე ჩასახვადმდე მისსა ზესთა აღმატებულისა სწმიდითა განწმედი-
ლი მუცელსა შინავე დედისა თჳსისა განმარტლებული, არა იქმნეს უკუნ-
მდებარე საზოგადოსა და მძიმესა ჭსჯულისა, წარმოწყობისა ერთა მი-
მართ ცოდვილთასა, ვინააღგან იგი აღემატა უმაღლეს ანგელოსთა, და
მოქმედებდა მას ზედა, არა თუ სჯული, არამედ მადლი.
ნეტარი იერონიმი მოგვითხრობს, რამეთუ მართალთა მშობელთა მო-
რჩაიევანეს უფროსად კურთხეული ასული თჳსი, შესწირეს ღმერთსა შე-
საწირავი მსხვერპლი და ყოვლად-დასაწკელი, ხოლო შემდგომად მიიღეს
კურთხევა მღუდელთ-მთავრისა და ყოველთა მღუდელთა კრებულისა და
უგუნაქტენ სახლად ნათესაუბითურთ თჳსით იხარებდენ და ადიდებდენ
ღმერთსა და ჭქმნეს ყოველთა თჳს სერი დიდი.
ყოვლად წმიდა ქალწული, ოდეს მიიევანეს სახლსა შინა ღუთისასა,
მისცეს იგი ჰირკულად სავანესა შინა ქალწულთასა. იერუსალიმის ეპკლე-
სიასა, აღშენებულსა სოლომონისა მიერ და განახლებულსა ზორობაბე-
ლის მიერ, აქუნდა მრავალნი სავანენი ანუ მონასტერნი, ვითარცა სწერს

ამისთვის ებრახტათ ძველი ისტორიის მწერალი იოსებ. გარეშემო ზღუ-
დეთა ეკკლესიისათა იყო ოც და ათი შკანიერნი და სრულნი ქვის გან-
სასკენებელი სენაკნი, რადუქმე დაშორებით ერთი მეორისაგან, მათ ზე-
და იუვენ დაშენებულნი სხუანიცა სენაკნი და კვალად მათ ზედა სხუანი-
ცა და ესე ვითარითა სახითა ყოველნივე იგინი იუვენს რიცხვთ ოთხმოც-
და ათი დიდ-ფრიადის სიმარჯვითა ცხოვრებისა-თჳს. სიმაღლე მათი იყო
თანასწორ ეკკლესიის კედელთა და იგინი მსახურებდენ ნაცვლად გოდოლ-
თა ანუ სვეტთა, რომელნიცა იზერობდენ ზღუდესა მას. მათ შინა სცხო-
ვრებდენ სხუა და სხუანი ჰილნი. ქალწულთა, რომელნიცა განწესებულ-
იუვენს დროდმდე სამსახურებელად ღუთისა, აქუნდათ მათ სავანე საკუთ-
რად; ქვრივნი, რომელთაცა აღეთქუათ ღუთისა-თჳს დაცვა სიწმიდისა თჳ-
სისა, ვიდრე სიკუდილადმდე, მაგალითებრ: ანა წინასწარმეტყუელსა ასუ-
ლი თანუელისა, ჰსცხოვრებდენ ესრეთვე განსაკუთრებით. მამა-განნი წო-
დებულნი ნახარეველად, რომელნიცა ატარებდენ ცხოვრებასა უბიწო-
სა, ვითარცა შემდგომს დროში განდგომილნი, აქუნდათ საკუთარნი სე-
ნაკნი. ესენი ყოველნი მსახურებდენ ეკკლესიასა შინა უფლისასა, და გა-
მოიზრდებოდნან შემოსავლითა ეკკლესიისათა. ხოლო სხუანი განსასკე-
ნებელი იუვენს განწესებულ უცხოთა თჳს შორით მოსულთა მუნ თაყვა-
ნისსაცემელად. ყოვლად წმიდა ყრმა მარია მთიუვანეს ქალწულთა სავა-
ნეში და ჩაბარეს უხცოვანესთა ქალწულთა, რომელნიცა იუვენს განსწავ-
ლულ საღმრთო წერილთა და ხელ-საქმეთა გამოცდილ. ყოველივე ესე
იქმნა მისთვის, რათამცა ყოვლად-წმიდა ქალწული სიყრმითგანვე უკუწ
განსწავლულ-იქმნეს საღმრთოსა წერილსა შინა და მეცნიერ ყოვლითავე
ხელოვნებითა. მშობელი მისნი იოაკიმ და ანა ვიდოდენ ყოვლად გურ-
თხეულისა ასულისა თჳსისა თანა და უფრორე ხშირად ანა სანახავად
მისა და ასწავებდა მას, და ესრეთ განმავალობასა შინა მტირისა ჟამისა-
სა ქალწულმან მარია მრულ-ჰყო თავი თჳსი სწავლასა შინა საღმრთოსა
წერილისასა, ვითარცა ემოწმების წმიდა ამეროსი და გიორგი მკისტორ-
იაკე. წმიდა ეპიტოვანე უბნობს მისთვის ესრეთ: იგი იყო მახვილი გონე-

ბითა და აქუნდა სიყვარული სწავლისა, კითხულობდა ხშირად საღმრთო-
სა წერილსა, და განიზრახვიდა მისთვის; ეგრეთვე შეართვიდა მატყელსა
და სელსა და ჭკერვიდა აბრეშუმითა. კეთილ-გონიერება მისი განაკვირ-
ვებდა ყოველთა. უმეტეს უყვარდა მას კერვა სამოსელთა მათ, რომელ-
ნიცა სახმარ იყვნეს მღჳდელთა თჳს ეკკლესიასა შინა ჟამსა ღჳთის-მის-
ხურებისასა, და მარადის სცდილობდა ესრეთთა ხელგუნებათა. მანვე შეჭ-
კერა ხელთა თჳსითა კვართი უფლისა იესოსი.

იგივე ეზიფანე უბნობს, ვითარმედ ყოვლად-წმიდასა ქალწულსა ეკ-
კლესიიდან ეძლეოდა საზრდო, ვითარცა სხჳათა ქალწულთა; გარნა იგი
ეძლეოდა მგზავრთა და გლახაკთა. ხოლო თჳთ იგი ვითარცა ღაღადებს
წმიდა ეკკლესია, იზრდებოდა ზეციურის ზურითა. წმიდა გერმანეცა გა-
ნამეორებს ამას: « იმყოფებოდა რა წმიდათა შინა წმიდათასა, იგი მიი-
ღებდა ტკბილსა საზრდოსა ანგელოსისაგან ». მსგავსად მისა წმიდა ან-
დრია კრიტიელი იტყვის, « ჭკიებდა რა, ვითარცა საყდარსა ზედა სამე-
უფოსა წმიდათა შინა წმიდათასა, იხმევდა საზრდელსა უხრწნელსა და სა-
კვირველსა ! » კვლად მოგვითხრობენ, ვითარმედ ყოვლად წმიდა ქალწული
სცხორებდა სამკვიდრებელსა შინა რომელიცა იწოდებოდა წმიდა წმიდა-
თა უკანა მეორეს კრეტსაბმელისა და არა სავანესა ანუ მონასტერსა შინა
ქალწულთასა; ამა გარდამოცემისაშებრ ჯერ-არს ვიგულისხმეთ ესრეთ: თუმ-
ცადა სავანესა შინა ქალწულთასა იყო მისთვის განწყესებულ ადგილი, და
წმიდათა შინა წმიდათასა, ჭკონდა ნება მხოლოდ სალოცავად სკლისა; გარ-
ნა სწავლობდა რა წერილსა და ხელთ-საქმესა უმეტესად იღვწიდა ღოც-
ვისა-თჳს, ვიდრე ხელთ-საქმისა. მრთელს ღამესა და უმეტესს ნაწილსა
ღღისასა იგი განატარებდა ღოცვასა შინა, რომლისა-თჳსცა ვიდრედა წმი-
დათა შინა წმიდათასა, ხოლო ხელ-საქმესა იქმოდა იგი განსასკუნებელ-
სა შინა თვისსა, ვინაოდგან ადვილად იყო ტაძარსა შინა ხელსაქმისა
შეტანად. ესე ვითარითა სახითა უმეტესსა ნაწილსა დრომსასა იმყოფე-
ბოდა იგი ეკკლესიასა შინა და ილოცვიდა უკანა მეორის კრეტსაბმე-
ლისა შინაგან კარვისა, იშვიტად ჯა თჳთ მცირესა დროსა ვიდრედა სე-

ნაკსა შინა თჳსსა. და ამისათჳს უკუჭ მობღუწარნი ეკკლესიისანი თანა-
ნახმად მეტეველებენ, ვითარმედ ყოვლად-წმიდა ქალწული სცხოვრებდა
სიუწმითგან ვიდრე ათორმეტ წლადმდე წმიდათა შინა წმიდათასა.

აჲ ვითარ აღწერს კეთილ-მსახური იერონიმე ცხოვრებასა ყოვლად წმი-
დისა ქალწულისასა ყამსა ჰირკელისა ჭასაკისა მისისასა: « ნეტარი ქალ-
წული, მაშინ ოდეს იყო ჩხვილ და ყრმა მეოთვი, სხუათა ქალწულთა ტოლ-
თა თანა მისთა ტაძარსა შინა, სცხოვრებდა ყოვლად-პატიოსნად, გან-
თიადიღამ ვიდრე მესამე სწათამდე იდგა ლოცვად, ხოლო ამა ყამიდგან
მეტწოდმდე იწუებდა ხელსაქმესა თჳსსა გინა ვითხვასა წერილისასა, კვა-
ლად მეტწრე ყამითგან იწუებდა ლოცვასა, და დასცხრებოდა მხოლოდ მა-
შინ ოდესცა ანგელოსი გამოეცხადებოდა მას და მოაჩემებდა ჩვეულებ-
რისა საზრდოსა, უმეტეს და უმეტეს იზრდებოდა სიუკარულსა შინა
ღმთისასა.» ესრეთ იყო ცხოვრება მისი დროსა სიუწმისა მისისასა, ოდეს-
ცა ცხოვრებდა იგი ქალწულთა თჳსთა ტოლთა თანა, იზრდებოდა და გან-
მტკიცდებოდა ღლითი ღლე სულითა, იგი უმეტეს ჭ უმეტეს წარმეტებოდა
შრომათა შინა, და შრომისათანა ამრავლებდა კედრებასა ცა ღმთისასა, ეს-
რეთ, რომელ იგი აღვიდოდა ძალითი ძალად, მას ყამადმდე, ვიდრე ძა-
ლი მადლისა მოვიდა და ჭფარკვიდა მას. განმანათლებელმან ზაქარია მს-
კუთარითა თჳსითა თჳსითა იხილა, ანგელოსი, რომელი გამოეცხადა მა-
რია მს და მოაჩემა მას საზრდელი. გიორგი ნიკოდემელი ესრეთ უბ-
ნობს მისთჳს: « შესაბამად ვითარ იგი იზრდებოდა ღლითი ღლე, მისთა-
ნა ნიჭნიცა სულიანი იზრდებოდინ, და განძლიერდებოდინ, ჭკიებდა
იგი ანგელოსთათანა, რომელიცა ერთგვის ზაქარია მცა ჭ'ცნო ჩაყამს იგი
იყო საკურთხეველსა შინა, და აღსრულებდა რა თჳსსა მსახურებასა, მა-
შინ იხილა მან ერთი ვინმე სახითა უცხოეთა მსგავსი ანგელოსისა, რომ-
ელიცა ზრახვიდა ქალწულისათანა და საზრდელსა მიაჩემებდა მას. ზა-
ქარია, თურიად განვირგებული განიზრახვიდა შოროის თჳსსა, რაჲ არს უჩ-
ველო და ახალი ჩვენება ესე? ანგელოსნი ტაძარსა შინა გამოეცხადე-
ბიან მხოლოდ მღჳდეულთა და მათთაცა თურიად იშვიტად, და რომელ ან-

გელისი ოდესმე სჩვენებოდეს ყრმასა ქალწულსა, ესე სრულიად უჩვეულად არს უკეთუმცა ესვას მას ქმარი და ეკედრებოდეს ღმერთსა განხსნისა-თჳს უნაყოფობისა თჳსისა, ვითარცა ანა; მაშინ არა სადამე განკვირდებოდი მე გამოცხადებასა ამას ზედა. გარნა ქალწულსა ამას ლოცვაცა არა ძალუმს. ხოლო ანგელისი მარადის გამოცხადების, ვითარცა თჳთ მე ვინილუ და ესეცა მომიუკანებს მე დიდსა განკვირებასა, ეჭვსა და შიშსა შინა! რასა ნიშნავს ყოველივე ესე? ამისგან რაჲ იქმნების. რაჲსათჳს მოვალს უწყებად. მისსა ანგელისი, და ვითარცა მოართმევს მას საზრდელსა. საიღამ მოიღებს მას?... ვის მიერ შემზადებულ-არს იგი, და ვისსა ხელსა გამოუცხვიეს ჰური ესე? ანგელისნი არა მზრუნველობენ ჩუქნთა მსოფლიოთა საჭიროებათა-თჳს! და თუმცა იუკნენ კაცნი, რომელნიცა გამოიზრდებოდნან ანგელისთა მიერ: გარნა მაშინაცა საზრდელსა მათსა ამზადებდეს კაცნივე. დანიილ გამოზარდა ანგელისმან ზესთა ბრძანებისამებრ, გარნა მან წარიუკანა ამბაკუმ და პინაგითურთ ჰურით საესეთთა, რათამცა არა დაეცეს შიში ანგელისის გამოცხადებასა და არა ჩვეულებრივის საზრდელისა ხილვისა გამოსაზრდელსა ზედა, ხოლო აქა ერთი უკუჩქ ანგელისი მოვალს ყრმისადმი სახილ თჳსად ყოველივე ესე საიდუმლო არს ჩემთჳს და მიუწითომელ, რამეთუ უამსავე სიურბისასა ღირს-იქმნა ქალწული ესრეთთა ნიჭთა და უსხეულოთასა მსახურებასა? რასა უკუჩქ ნიშნავს ყოველივე ესე? ვინ არს ესე საიდუმლო?... არა მას ზედა შესრულდებიანა წინარე თქმულნი წინასწარმეტყუჩქლთა მიერ?— არა მის მიერ აღსრულდებიანა მრავალთა საუკუნეთა მოლოდებანი ჩვენნი? არა მისგან მიიღებსა ბუნებასა კაცისასა იგი, რომელნიცა მოვალს ხსნად კაცთა ნათესავისა? არა თჳთ ესე არსაა ჩემ მიერ ხილული ქალწული იგი, რომელნიცა წინად-აღრჩეულ არს ჭურად დიდისა და მაღლისა საიდუმლოდსა? ჰი სახლო ისრაილისაო, ეკოდენ ნეტარ ხარ შენ, რამეთუ შენგან აღმოსცენდა ესე ვითარი ნაყოფი! ჰი თჳსკო იესკო, ეკოდენ ნეტარ ხარ შენ, რამეთუ შენ გამოიღე რტო, რომელსა ზედაცა აღუკვადების ყვაული სოფლის გამოხსნისა! ვითარ დიდებულ-არს სახსენებელი

ტფილისის ჰირსულის ხარისხის ფერისტულ- ლების მონასტერი.



მონასტერი ესე მდგომარეობს აღმოსავლეთით კერძო ტფილისისა, მე-
სამის ნაწილის ჰირსულსა კუარტალსა შინა, მომალლასა ხარტუსა რუ-
და ავლაბრისასა, რომელიცა დაჭსჭურეტს წინარე დასავლეთ კერძო ქა-
ლასა ტფილისსა, მათა რუდა შეუენილსა, მსგავსად ამფითეატრისა,
მდებარესა კიდესა რუდა მდინარისა მტყურისასა, რომელიცა განჭყოფს
ტფილისს ავლაბრისაგან, და შეაკრთებეს მათ რჩნი ხიდნი ხისასი, მტე-
რდრე სამხრით კერძო მონასტრისა ამის მდებარენი.

ადგილი ესე, რომელსადა შეიტავს მონასტერი ვიდრე 800-ს კუადრატ-
ტნის საყენადჲ, გარდავლასა მისა 1790-ის წლისასა, გარეშეხლუდა
გალაქნით და ბურჯუიით კეთილ-მოწყობესა საქართუშლას დედამთავალ-
მან დარიაშ, ასულმან გიორგი დადიანისაჲს, და მეუღლემან კეთილ-მსა-
ხურის მეფის ირაკლი მეორისაჲს, და აღაშქსა მას მისა ეკლესია ესე,
აწ მდგომარე სახელსა რუდა მოსახელისა თვისისა წმიდის მარწამის და-
რისასა, რომელსადა აქუს სიგრძე შიგნიდამ 7 საყენი თავის კარისბჭით;
სიგრცე 2 საყენი ზ 5 ჩარქი; ხოლო სიმაღლე 3 საყენი და 3 ჩარქი,
და აქუნდა ესე კარის საუდრად თვისად, რომელსა ჭქონან 7 სარკმელნი
და 3-ნი კარნი, რომელი აწ შეცუალებულ არს ტაძრად ქრისტეს ფერის-
ტულალებისად.

ხოლო სახლი ესე, აწ საწინამძღვროდ დაწესებული, აღაშქსა ხსენებულ-

მანვე დედოფალმან საზავსულოდ სადგომად თვისად, რომელსა შინა ცხოვრებდა მხოლოდ სამსაოდენ თვესა მცირე რიცხვით მსჯობებითურთ, ვინადგან უწმინდეს და უგრილეს არს ტფილისისა ჭაერი ადგილისა ამის, და მდებარებაცა მისი თქალთათვის ფრიად სახინო, სადედგანცა შეიცავს თქალი ვითარცა ქარტასა ზედა გამოხატულსა სრულად მდებარეობასა ტფილისის ქალაქისასა.

ადგილი ესე შენობითურთ, რადგან სადედოფლო იყო და ეკუთნოდა ხაზინას, ამისთვის 1815 წელსა შინა, მოსცა სამოქალაქო მთავრობამან სასულიერო მთავრობას შეცვალებით, ნაცულოდ დიდისა მის ხარებობის ეკკლესიისა (რომელიცა მდგომარებს საშუალ ტფილისისა და არს აწ ამბრად ზურისად (*)) და აქუნდა ესე პირველად განსუწმნებულს კახეთის არხივის-კოპოსს დოსითეოსს ჰოდვერიად თვისად, რომელსა შინა მდგომარებდა ჟამსა ტფილისსა შინ მეოფობისა თვისას: და შემდგომად წარსლვისა მისისა როსსიად, განსუწმნებულმან საქართუშლოს ექსარხოსმან თეოფილაკტემ, ვინადგან არაოდესმე უოფილ-არს ტფილისსა შინა მონასტერი მონასტონთა საცხოვრებელად (გარდა კათოლიკოსისა კარისა, რომელსაცა ჭუჭუნდეს ეზოსა შინა თვისსა სრულნი და რჩეულნი კრებულნი, ვითარ იგი არხიმანდრიტნი, მღუდელმონასტონნი, არხიდიაკონნი, იეროდიაკუნიებითურთ, იზოდიაკონნი, მგალობელნი და სხუანი კლირიკოსნი ეკკლესიისანი); ამისთვის შესაბამად მრაცხმან, გინათუ მიმხედმან როსსიის ქალაქთა შინა მეოფთა მონასტერთამან, ინება ტფილისსა შინა დაწესება მონასტრისა, და დასდვა საზავსულო სადგური ესე დედოფლისა მონასტრად 1819-სა წელსა, რომელსა ზედა მოსცულა პატრიკი და სახელი პირველის საარხიმანდრიტოს ქუათახევის მონასტრისა, ჯა წინამძღუარცა

(*) ესე ეკკლესია იყო აღშენებული ლათინთ მისიონერთაგან, რომელსა ეღა გუმბათი მსგავსი რომის ეკკლესიისა: და რაჟამს განიდევნეს ტფილისით ლათინთ მოძღუარნი 1755 წელში მეფის თეიმურაზისა და მისა მისისა ირაკლისაგან, მეცადნიობისათვის აღმოსავლეთის სარწმუნოებისა გარდაქცევისაგამო, მიერითგან შეცვალებულ იქნა მართლმადიდებელთ ქართუშლოთ ეკკლესიად.

მისი აწმინდრები ათანასი, ნათესავით ქართველი, გუჩაძე პეტრია-შვი-
ლი, შობით ყიზლარელი, უწმინდესის სინოდის კანტორის ჩიქნი (*),
რომელიც იქმნა შემდგომად მაკარის მონასტრის წინამძღუროდ, და მუ-
ნითგან მოსკოვს დონის მონასტრის აწმინდრებად, სადა იგი აღეს-
რულა და დაკლავა. ხოლო შემდგომად თეოფილაქტეს გარდაცვალები-
სა, მოადგილემან მისმან ექსარხოსმან იონა, გამოიყენა შიომღვიმის
უდაბნოთგან ორი მღვდელმონაზონი, ერთი მთავარდიაკონი, ორი მწიწ-
მონაზონი და დადგინა ამას მონასტრისა შინა წელსა 1820-სა, და
უწოდა მას ტფილისის პირველის ხარისხის მონასტრად, რომელსა შინა
იყო მოადგილედ შემდგომად ათანასის ირინეოს აწმინდრები; შემ-
დგომად უკუნ ქტუვის მისისა როსსიად დაიდგინა მოადგილედ მისა აწ-
მინდრები ეკგანი ნათესავით რუსიკე, რომელმანცა კეთილად იღუწა
დახატუა ამა ეკლესიისა, და ტაძრისა ამის თეორისტულების ხატისა კე-
ცხლით შეჭედუა, რომელი აღესრულა 1832-ს წელსა, დეკემბრის 24-სა,
და დაკლავა ამას ეკლესიისა შინა. შემდგომად მიტულებისა მისისა, მო-
იუღინა რუსეთით მოადგილედ მისა აწმინდრები სერგი, რომელმანცა
განაგრძო აქა წინამძღურობასა შინა რვა წელს, და მიიქცა როსიადკე თვე-
რის მეორის კლასის უელტიკოვის მონასტრისა შინა წინამძღუროდ. შემ-
დგომად მისა იყო მოადგილედ მისა აწმინდრები თლავიანე, რომელ-
მანცა დასდგა კანკელი საძმო პალატისა შინა და შესტუალა იგი წმიდის
ნინა მოციქულთა სწორის ეკლესიად; შემდგომად უკუნქტუვის მისისა
იყო მოადგილედ მისა აწმინდრები იზრაილ, და შემდგომად უკუნ-
ქტუვისა მისისა აწმინდრები თოტი: და შემდგომად თოტის უკუნქ-
ტუვისა აწმინდრები წინამძღუროდ უწმინდესის სინოდის კანტორის ჩიქნი,
ტფილისის სემინარიის რექტორი აწმინდრები ვიკტორინი, რომ-

(*) ესე გადმოჰყუა რუსეთით მთავარმართებელს ციციანოვს პროთოპოპად, და ამის
დროს გაიხსნა ტფილისში საკეთილშობილო სკოლა, რომლისა დირექტორად თვით
იყო, და იყო კაცი ესე უმზნო და გამოცდილ საღმრთოსა და სამოქალაქოთა საქ-
მეთა შინა და ფრიად სახმარი და გონიერი.

შელმანცა განახლავს ეკლესიას მონასტრისა ამის და აღმართას მას შინა
ოქროცურვებულად განკულა შეკერიდა.

ამას ეკლესიასა შინა არიან დასათვლავებულ, ყოვლად სამღუდელთა არ-
ხიებისკობისი დოსითუოს თიცხელაური, რომელიცა შემდგომად როსსი-
ით მოსლვისა გარდაიტყალა 1830-სა წელსა შინა: ყოვლად სამღუდელთა
ნიკიოლოზი, ვიკარნი საქართუჭლოსი, გუარად ჯორჯაძე კახეთის თავად-
თავანი: ზემოხსენებულნი არხიმანდრიტი ევგენი: იმერეთის თავადი იო-
სებ გრიგოლის ძე წერეთელი, და გარემოს ეკლესიისა სხვანი მრავალნი
სამღუდელნი და საყრონი.

ამას მონასტრისა შინა არს შენად სამთო სენაკნი ცხრანი, და მათ
შინა ცხოვრებულნი მონაზონნი ექუსნი ორის მოწილითურთ, და სცხო-
ვრებენ ესენიცა ჯამაგირებით, ვითარცა ძმანი სხუათა საქართუჭლოს მონ-
ასტრთანნი.

ს ტ . . .

სირცხვილი დაუენებს კაცსა ცოდვისაგან და
მიიყვანს სინანულისადმი.

ოდესმე ღირსმან ეფრემ ასუჩმან ინება შესულა ქალაქსა ედესიისასა, ზღოცა ღუთისა მიმართ ესრეთ: « უფალო იესო ქრისტე, რომელმან ღირს-მეჲს მე ხილუად ქალაქისა შენისა, ჭყავ რათა შესულასა ჩემსა მას შინა მომეკებოს მე კაცი, რომელმანცა ზრახუა ჭყოს ჩემთანა საღმრთო წერილთაგან სასარგებლოდ! » ესრეთ მლოცველი ოდეს მიეახლა ქალაქსა და შეკვიდრდა მას შინა, შეემთხვა მას ბჭეთა შინა დედა-კაცი მეძავი; და იხილა რა იგი წმიდამან ეფრემ, მწუხარე იქმნა, და იტყოდა თავით თჳსით ღუთისა მიმართ: « უფალო, უგულუბელს-ჭყავ ვედრება მონისა შენისა, რამეთუ ვითარ ძალუმს ამას სიტყუათა მიერ წიგნთასა განკითხვად ჩემთანა? და მდგომარე იყო დედაკაცი იგი მჭკრეტი მას ზედა. ხოლო წმიდა ეფრემი ეტყოდა მას: « მითხარ მე დედაკაცი, რამესათჳს მდგომარე ხარ მჭკრეტი ჩემ ზედა! » მიუგო დედაკაციმან: « გჭკრეტ შენ, რამეთუ მე ვარ დედა-კაცი მამა-კაცისაგან გამოსრული, ხოლო შენ ნუ მჭკრეტ მე, არამედ სჭკრეტდი მიწასა, რომლისაგან მოღებულ-ხარ შენ ». — ესმა რა ესე ეფრემს, განკვირდა ზასუხსა მისსა, და აღიდებდა ღმერთსა, რომელმან მისცა ესე-ვითარი გონება დედაკაცსა მას, და გულის-ხმა-ჭყო, რამეთუ არა უგულუბელს-ჭყო უფალმან ვედრება მისი, და შეკვიდა ქალაქსა შინა; და დაიკანა მუნ დღეთა მრავალთა, ხოლო შემთხუჭვისა გამო ახლოს სახლისა მის, რომელსა შინა დაიკანებდა, სცხოვ-

რებდა სხუა მეძავი დედაკაცი მეზობელთა შორის მისთა. იმან მტკრ-
ბითა ეშმაკითა ბიჭებულმან, ინება მწუხარე ყოფად მონუცებულისა და
განაღო სარკმელი, რომელი იყო კედელთა შორის მისთა, და იხილა წმი-
და იგი მღვდლმარე, და ხმა უყო მას დედა-კაცმან, მეტყუელმან: « მაკურ-
თხე უფალო ». მიხედა რა ღირსმან სარკმელსა, და იხილა იგი მჭკრე-
ტი, ჭრქუა მას: « უფალმან გაკურთხოს შენ ». ჭრქუა მას დედა-კაცმან:
« რაღა აკლს სანოვასკესა შენსა? » მიუგო წმიდამან: « სამნი ქუანი, და
მცირედი თინაც არს საჭირო, რათა აღიქოლოს სარკმელი, რომლისაგან
სჭკრეტ შენ აქა ». ხოლო დედაკაცმან მან ჭრქუა მას ურცხვოდ: « გარქუ
მე შენ პირველად, და შემრისხე მე, მნებავს მე წოლა შენთანა, და შენ
პირველთა სიტყუითა უარ-მყოფ მე ». მიუგო მონამან ღუთისამან, და
ჭრქუა მას: « უკეთუ გნებავს წოლა ჩემთანა, მოკედ უკუწ ადგილსა მას,
სადაცა გეტუვი შენ, და დაკუწწუნეთ ერთად »! ჭრქუა მას მეძავმან: « უწო-
დე სახელი ადგილსა მას და მოვალ. » მიუგო წმიდამან ეფრემ: « უკე-
თუმცა მოსურნე იქმენ ჩემი, უკუწ ვერ ძაღვიძს სხვასა ადგილსა წოლა
ჩემთანა, ვითარცა ოდენ საშუალ ქალაქისა », ჭრქუა მას დედაკაცმან: « უკუწ
არა სარცხენელ იქმნების ესე კაცთა შორის? მიუგო წმიდამან: « უკე-
თუ გვრცხენის ჩუწნ კაცთა, უკუწ რაოდენმე უფრო ჯერ არს სირც-
ხვილი და შიში ღუთისა, რომელმან უწყის დაფარულნი კაცთანი, რამე-
თუ იგი არს, რომელსა ეგულებს განსჯა ყოვლისა სოფლისა, და მი-
გებად თვთუელისა საქმეთა მისთა ებრ? ესმა რა ესე მეძავსა, ღმობიერ
იქმნა სიტყუათა მიერ მისთა, და შესრული შეუარდა თერხთა მისთა,
მტირალი და მეტყუელლი: « მონაო ღუთისაო! დამადგინე მე გზასა
ცხოვრებისასა, რათა განუკრე მრავალთა ბოროტთა საქმეთა ჩემთა. »
მაშინ ღირსმან ეფრემ ჭსწუართა იგი მრავლად წმიდათა წერილთაგან, და
განამტკიცა იგი სინახულად, და მისცა იგი მონასტერსა შინა დედათასა,
და აცხოვნა სული მისი საძაგელთა უსჯულოებათა მისთაგან. კვლად სხვა
წინმე მეძავი, რომელსამე ადგილსა მიმაკალი, მოუხდა ღირსსა ეფრემს
და აცთუნებდა მას ცოდვისა მიმართ, და ეტყოდა მას ღირსი: « შემო-

მიდგე მე », — და შეუღლა დედა-კაცი იგი. ხალხ მიეხლნენ რა რამეულ-
სამე მრავალს-ერიახსა ადგილსა, ეტყოდან: « მნებაჲს აქა დაწოლას შენ-
თანს და ქმნა ცოდვისა ». მაშინ დედა-კაცი იხილა რა ერი იგი, რქჳს
მას: « ვითარ ძალგვიძს აქა ქმნად მისსა, რამეთუ ეს-ოდენი არს ერი ?
არა სირცხვილ იქმნებისა ? » რქჳს მას ღირსმან: « უკეთუმცა ვერცხუწ-
ნის კაცთა, რადუნ უმეტეს თანამდებ ვართ, რათა გურცხუწნოდეს ღუ-
თისა, რამეულმან უწყის დაფარულნი გულთანნი ? — და წარვიდა მისგან
დედა-კაცი იგი სირცხვილული, ვერ შემძლებული მოცთუნებად მისა ცოდ-
ვისა მიმართ.

შთარგმნ. სლოვენურით,

მღჳდელი დავით ინანაშვილი.

წიგნი რედაქტორთან (*).

დიდსო და პატიოსანო რედაქტორო!

უწინაესოთხის წლისა, ოდეს ვიმეოთებოდი გოგონის ქალაქსა შინა, უოკელთა მცნობთა თქვენთაგან მარად მესმოდა კეთილ-ზნეობითი ცხოვრება თქვენი ასპარეზსა ზედა მღუდლობის ხარისხისასა და მრავალ-კერძობითნი საქებურნი თვისებანი და ამასთანვე კეთილ-გონიერება და დახელოვნებითი ცოდნა სხვა და სხვა სწავლათა. აჴა ამ ნაირთა ამბავთა განთვისებულთა ღირსებათა თქვენთა ზედა აღაგონეს ჩემში უზომო სურვილი თქვენთან პირისპირ და დაახლოვებით გაცნობისა; გარნა საუბედუროდ ჩემდა მარად მომაკლებდნენ ამასა უაშთა ვითარებანი. — შემდგომად, რაჟამს განკარგულებითა სასულიეროს მთავრობისა ჩვენისათა განწყესებულ ვიქმენ მე ჭუთაისსა შინა, სადაცა იმეოთებოდით თქვენცა, თავსა ჩემსა კხადოდი ბედნიერად და მიწეკნილად წადილისადმი, გარნა აქაცა აღმომიჩნ-

(*) ჭეშმარიტითა ქრისტიანობრივითა სიყუარულითა და სულიერითა სიტკბოებითა მივიღეთ წყრილი ესე პატივაცემულისა ავტორისაგან, და კჴალადცა ეგრეთვე მივიღებთ სტატიებსა მისსა; ხოლო ყურადღებისათვის ჩუშნდა და ჩუშნისა ჟურნალისადმი დიდად ვმადლობთ მას. თერთმეტი წელიწადია ჩუშნ გვაქჴს ნათესავობითი დაახლოვება ჩინებულთა და განათლებულთა სომხებთანა და ვსცანთ ნამდვილნი თვისებანი და სიყუარული სომეხთა ცომისა ქართუშლთადმი; და ამისთვის გრძნობა და კეთილმსურველობა აღნიშნულისა ამა წერილსა შინა პატიოსანისა სომეხთაგანისა მიგვაჩნია ჩუშნ ჭეშმარიტად და პირუთნელად, მით უმეტეს, რომელის ბრძანებდა სამღუდლო პირი და თანამოძმე ჩუშნი.

რედ.

და კვალადე დაბრკოლება, და მოლოდინება ესე ჩემი წარხდა ამაოდ, ვინაჲდგან შემდეგ მოსკლისა ჩემისა ქუთაისში, თქვენ მაღიად გარდაუვანილ იქმენით ტფილისსში. ამასობაში, ვიდრე დროება და გარემოებანი ჩემნი მიგრავდნენ მე გზასა თქვენთან გაცნობისასა, სხვა და სხვა საგანნი კვალად და კვალად აძლიერებდნენ ჩემში ამა სურვილსა, რომელიცა გარდამეტებით განცხადებულა მაშინ, როდესაც ვიხილე და წავიკითხე თქვენ მიერ გამოცემული ჟურნალი, რომლისა მოსმენითა, არ ძალმიძს წარმოვსთქვა ვითარცა სიამოვნება და განუსაზღვრელი სიხარული ვიგრძენ.

შესაძლებელია რომელმანმე ამა სიტუაციის აღმომკითხველთაგანმან ჭსოვრად «ხუთუ ქართულების განათლებამ და წარმატებაში შესულამან ეგრეთ განცვიფრებად აღიტაცა და ასიამოვნა ესე სომეხთაგანი, რომე ესრეთი კეთილი გრძნობა დაჲდა მას შინა». მთქმელსა ამისსა ანუ მომთვიქრებულსა მე უზასუხებ ესრეთ: «მართლად გვასიამოვნა და გვასიამოვნებსცა ჩვენ, სომეხთა, რომელნიცა ვართ მეზობელნი საქართველოდსანი და მომდინარენი ერთისა მამათ-მთავრისა თორგომოსისაგან, - ჩვენ სომეხნი თორგომოსისა მის უხუცესის მის ჭაივის (ჭაოსის) შთამომავალნი, ხოლო ქართველნი უმრწემესის ძის ქართლოსისანი». თუმცა ამ ყვამად ვართ განყოფილნი გვარითა და ეკლესიითა. გარნა კაცობრივობით ჭჭრისტიანობით ვართ განყოფილნი; მაშა სადამე წარმოდგენითა გულის ერთობისათა ურთიერთს უნდა ვრაცხდეთ შეერთებულად, თანამომედ და ერთის მშობელთაგან ჩამომდინარედ, მით უმეტესად, რომელ აწინდელი გვარით და ეკლესიით განყოფილება სრულიად არ გვიგრძელავს, რათა ვიქონიოთ ურთიერთისათანა ძმური კავშირი და ჭეშმარიტი სიყვარული და აღვასრულოთ ურთიერთისა მიმართ კაცობრივი ვალდებულებანი.

დაურღვეველი და უმტყუნარი ჭეშმარიტება არს ესე, რომელ ყოველსა ჭეშმარიტსა ადამიანსა, ანუ ესრეთ ჭჭსოქვით, თვითოეულსა გვარის მწვეკრსა, უკეთუ აქვს მას ნიშანი რაჲმე ქრისტიანობისა და კაცობრივობისა და უბრუნავს მას ძარღვებში სისხლი თავის გვაროვნობისა და მამულის მოყვარებისა, უუჭველად ესიამოვნება განათლებას და წარმატებას

თავის გვარისა, მცირედი იყოს წარმატება იგი, თუ დიდი, და შესწუხ-
დება უძრავობისა და დამცირებასა მისისათვის, თქმისა-ებრ ჰაკლე მოცი-
ქულისა, რომელი დასწერს « თუ ეკნებინ რა ერთსა ასოსა, მისთანა ელ-
მინ ყოველთა ასოთა და თუ იდიდებინ ერთი ასო, მისთანა იხარებენ
ყოველნი ასონი » (1 კორინთ. 12 თავი 26 მუხლი). მსგავსად ამისა ცა
ყოველი კაცობრივობის სახელწოდების ღირსების მექონე უსათუოდ გა-
იხარებს ბედნიერებასა და სიკეთესა ზედა მოყვასისა და მეზობლისა თვი-
სისა და თითქმის მტრისასაც; და ჯერაც არს, რათა ყოველის ღონის
ძიებით განამხნეოეს, ანუგეშოს და ხელი შემწეობისა გაუზუროს მას
გრძელად და მტკიცედ დაცვისათვის კეთილ-დღეობისა მისისა. ამას გვაკა-
ლებს ჩვენ ნიშნულობა მყოფობისა ჩვენისა ამა ქვეყანასა ზედა და თვით
შემოქმედი ბუნებისა, და მხერგაკვი სინიდისისა და ჰირველი მოძღვარი
ქრისტიანობისა: « გიხაროდენ მოხარულთა-თანა და ჰსტიროდეთ მტრულ-
თა თანა » — დასწერა ზეგარდამო შთაგონებით სამ ცადმდე აღსრულმან
ჰაკლემ (რომაელთა 12 თავი 15 მუხლი).

ჩვენ არა გვსურს სრულად და არცა გვაქვს ჰასრი, ღირს-ჰატიოსანო
სულიერო ძმაო რედაკტორო, შევამოთ თავი ჩვენი სხვა და სხვა საქე-
ბურის სახელწოდებითა და ტიტულებითა და ანუ დაჰსატოთ შებლი ჩვე-
ნი სასიქადულო ზედა-წარწერებითა, რომლისა ც ღირსად არა ვრაცხთ თავ-
სა ჩვენსა; არა, ჩვენ არა ვართ ამის მეძიებელი, ხოლო კეთილას გრძნო-
ბის ღირსების ქონების ბედნიერება ვი გვაქვს და მარად ვიქადნით ამა
თვისებათა. აჰა ესე გრძნობა არს, რომელმანცა კალაში აგვადებინა ხელ-
ში, რათამცა განგიცხადოთ სინარული ესე ჩვენი და შემოგწიროთ მად-
ლობა თქვენ, უცნობო ჩემდა გვარის-მოყვარეო უოვალა, — თქვენ, რომ-
ელმანცა ამა განათლებულს საუკუნესა შინა, თუმცა ძალიან გვიან, ჰსცა-
ნით მოვალოება თქვენას მღვდელობისა და მწესობისა და ივისრეთ აღ-
სრულება ამა წმიდის ხარისხისა მიერ მოთხოვნილთა მრავალ კერძობით-
თა ჰირობათა, რათამცა მიანიჭოთ მით თანამოგვარეთა შემამულეთა თქვენ-
თა საზრდონი, მარგებელი სულისა და ხორცისანი. — მაგრამ საქმე ის

არის, რომე ხელ-ყოფამან ამან თქვენმან დაჭყოს ხანგრძლივ; საქმე ის
არის, რომე საქართველოს ხალხმან მოაქციოს თქვენზედ ჯეროვანი ყუ-
რად-ღება, ღირსეულად დაათასოს ძვირთვისი შრომა ესე თქვენი, შეის-
მინოს და აღასრულოს კეთილ-დაწიგებანი თქვენნი და სულითაღისა და
გულითაღისა მეცადინეობითა და თანამეწყობითა უზრუნველ-ჭყონ მო-
